WRITE FOR RIGHTS

AMNESTY INTERNATIONAL

ნაცემი რასისტული თავდასხმისას

პარასკევი კოკონი
საბერძნეთი

დაწერე წერილი

შეცვალე ცხოვრება

WRITE FOR RIGHTS

AMNESTY INTERNATIONAL

პარასკევი კოკონი 35 წლის ბოშა ქალია, რომელიც საბერძნეთის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობს. 2012 წლის ოქტომბერში იგი და მისი 23 წლის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ძმისშვილი კოსტასი სასტიკად სცემეს რასისტული თავდასხმისას, მაშინ როდესაც ისინი საყიდლებზე იმყოფებოდნენ. მისი 11 წლის ვაჟი უყურებდა როგორ ურტყამდნენ მათ ადგილობრივი დაჯგუფების წევრები და როგორ სცემდნენ ჯოხებით.

პარასკევი ამბობს რომ ერთ–ერთმა თავდამსხმელმა შეარჩია იგი ბოშების ადგილობრივ ლიდერთან ნათესაური კავშირის გამო. გარდა ამისა, ჯერ კიდევ თავდასხმამდე იგი გახდა იმავე სოფელში, ბოშების ოჯახებზე განხორციელებული ერთ–ერთი სასტიკი, რასისტული რეიდის მსხვერპლი. უამრავმა ბოშამ დატოვა საცხოვრებელი რათა დაუსრულებელ მუქარებს და ძალადობას გაქცეოდა, რომლის დროსაც მათ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ პოლიციამ ბრალი წაუყენა სამ მამაკაცს სხეულის მძიმე დაზიანებისთვის 2012 წლის ოქტომბრის თავდასხმის დროს. თუმცა, პოტენციური რასისტული მოტივი უგულებელყოფილი იქნა გამოძიებისას. ნებისმიერი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სრულად აღიარებს რასისტულ მოტივს დანაშაულის ჩადენისას მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება და ხელს შეუწყობს საბერძნეთში მცხოვრები ბოშების დაცვას შემდგომი თავდასხმებისგან.

გთხოვთ მოუწოდოთ იუსტიციის სამინისტროს რომ დაუყოვნებლივ გამოუტანოს განაჩენი პარასკევის და მისი ძმისშვილის თავდამსხმელებს და რომ ნებისმიერი ფორმის განაჩენში აისახოს დანაშაულის რასისტული მოტივი.

დეკემბერი 2014
ინდექსი: EUR 25/007/2014 Georgian

დაწერე წერილი
შეცვალე ცხოვრება

მისწერეთ წერილი საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროს

გთხოვთ მოუწოდოთ იუსტიციის სამინისტროს რომ დაუყოვნებლივ გამოუტანოს განაჩენი პარასკევის და მისი ძმისშვილის თავდამსხმელებს და რომ ნებისმიერი ფორმის განაჩენში აისახოს დანაშაულის რასისტული მოტივი.

მისწერეთ: Minister of Justice, Transparency and Human Rights, Ministry of Justice, Transparency and Human Rights, 96 Mesogeion Avenue, 115 27 Athens, Greece

დაწერეთ წერილი პარასკევის მხარდასაჭერად

გაუგზავნეთ მას ღია ბარათი ყვავილების გამოსახულებით, ბერძნულ–ბოშურ ან თქვენს მშობლიურ ენაზე.

შემოთავაზებული შეტყობინება ბერძნულ–ბოშურ დიალექტზე:
Σκεμπζαβα ι τούκι („მე ვფიქრობ შენზე“)
Τίτσερες δύναμη („გამაგრდი“)
Σινάμ ετούσα κα τι τσαβέντζα („ჩვენ ვართ შენთან და შენს შვილებთან ერთად“)

გაგზავნეთ იგი მისამართზე: Paraskevi Kokoni, c/o Amnesty International Greece, Sina 30, 10672, Athens, Greece